საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/2120
02/04/2026

2120-01-2-202604021622

ფეისბუქ გვერდის "Mulberry.ge"-ის
წარმომადგენელს მარიამ მიქაუტაძეს (პ/ნ 60001138643)
მის: ქ.თბილისი, კეკელიძის N2
ელ.ფოსტა: mulberry.ge@gmail.com
ელ.ფოსტა: marishkamikautadze@yahoo.com

როგორც თქვენთვის ცნობილია, „[redacted] განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე" სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) თავმჯდომარის 2025 წლის 1 მაისის №04/452 ბრძანებით დაიწყო საქმის შესწავლა ფ/პ მარიამ მიქაუტაძის (პ/ნ 60001138643) (შემდგომში - მოვაჭრე) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

საქმის შესწავლის დასრულებამდე, მოვაჭრემ 2025 წლის 10 ივნისის N01/3475 წერილით სააგენტოს შესთავაზა პირობითი ვალდებულების აღება, რომლითაც დაევალებოდა სავაჭრო პოლიტიკის კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა და იმ მომხმარებელთა უფლებების აღდგენა, რომელთაც სავარაუდოდ, მოვაჭრის სავაჭრო პოლიტიკის შედეგად ზიანი მიადგათ. სააგენტომ განიხილა კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოფხვრის მიზნით მოვაჭრის მიერ შეთავაზებული პირობითი ვალდებულებები და მიიჩნია, რომ ვალდებულებების შესრულების შედეგად აღარ იარსებებს კანონის სავარაუდო დარღვევის რისკი, შესაბამისად, დაეთანხმა შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს და „მოვაჭრე ფ/პ მარიამ მიქაუტაძის (პ/ნ 60001138643) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე საქმის შესწავლის დასრულების თაობაზე" სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 11 ივნისის №04/610 ბრძანებით დაასრულა მოვაჭრის მიმართ დაწყებული საქმის შესწავლა მოვაჭრის მიერ კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე. აღსანიშნავია, რომ მოვაჭრის მიერ პირობითი ვალდებულების აღების თაობაზე სააგენტოსა და ფ/პ მარიამ მიქაუტაძეს (პ/ნ 60001138643) შორის

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
15 20
info@gcca.gov.ge
www.gcca.gov.ge

გაფორმებული 2025 წლის 10 ივნისის შეთანხმებით მოვაჭრეს ვალდებულებების შესასრულებლად განესაზღვრა 1 (ერთი) თვე.

2025 წლის 10 ივნისის შეთანხმებით განსაზღვრული 1 თვიანი ვადის გასვლის შემდეგ, მოვაჭრეს სააგენტოსთვის არ წარმოუდგენია პირობითი ვალდებულების აღების თაობაზე შეთანხმების მე-2 მუხლის 2.2. პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია თანდართული მტკიცებულებებით. რაც შეეხება მომხმარებელ ნინო კალატოზიშვილს, მან 2025 წლის 5 ივნისის N01/3397 წერილით განმარტა, რომ მოვაჭრემ თანხა დაუბრუნა.

ამასთან, კანონის 33-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია ხელახლა დაიწყოს საქმის შესწავლა, რომლის ვადა 1 თვეს არ უნდა აღემატებოდეს, თუ:
ა) მოვაჭრე თავის მიერ ნაკისრ პირობით ვალდებულებებს სააგენტოს მიერ მასთან დადებული წერილობითი შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს;
ბ) პირობითი ვალდებულებები მოვაჭრის მიერ მიწოდებულ მცდარ, არაზუსტ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციას ეფუძნება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონის 33-ე მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სააგენტომ დაიწყო საქმის ხელახალი შესწავლა სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 1 აპრილის №04/492 ბრძანების საფუძველზე.

ასევე, გთხოვთ, კანონის 28-ე, 30-ე, 32-ე მუხლებისა და სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მოგვაწოდოთ თქვენი ამჟამინდელი სავაჭრო პოლიტიკა (მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის ურთიერთობის წესები და პირობები).

შეგახსენებთ, რომ სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მხარეს უფლება აქვს ჰყავდეს წარმომადგენელი; სააგენტოს წარუდგინოს პოზიცია, ინფორმაცია ან/და

მტკიცებულებები საქმის შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე; გაეცნოს საქმის მასალებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით დადგენილი წესით; მოითხოვოს ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გახანგრძლივება; განაცხადოს აცილება სააგენტოს თანამშრომლის მიმართ.

დანართი: „1“ ფურცელი.

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი